

# 2020

სექსუალური და რეპროდუქციული  
ჯანმრთელობის და გენდერული  
ნიშნით ძალადობის კუთხით  
საჭიროებებისა და ბარიერების  
კვლევა ახალგაზრდებში

თვისებრივი კვლევის ანგარიში





## სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და გენდერული ნიშნით ძალადობის კუთხით საჭიროებებისა და ბარიერების კვლევა ახალგაზრდებში

### თვისებრივი კვლევის ანგარიში

#### კვლევის ხელმძღვანელი:

ნინო წულუისკირი - დირექტორი, ასოციაცია ჰერა ოცდაერთი

#### კვლევის კოორდინატორი:

სალომე იოზაძე - პროექტების კოორდინატორი, ასოციაცია ჰერა ოცდაერთი

#### მკვლევარი:

თეკლა ლოთიკაშვილი - მკვლევარი, სოციოლოგი

წინამდებარე კვლევა განხორციელდა ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ მიერ ოჯახის დაგეგმარების საერთაშორისო ფედერაციის (IPPF) მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის კვლევის მონაწილეებსა და მკვლევართა ჯგუფს და შესაძლოა არ გამოხატავდეს ოჯახის დაგეგმარების საერთაშორისო ფედერაციის მოსაზრებებს.

©ასოციაცია ჰერა ოცდაერთი

თბილისი, 2020

## სარჩევი

|   |    |
|---|----|
| შესავალი.....   | 4  |
| 1. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია.....   | 4  |
| 1.1. კვლევის ამოცანები.....   | 4  |
| 1.2. კვლევის მეთოდი.....  | 5  |
| 1.2.1. ფოკუსური ჯგუფური დისკუსიები .....  | 5  |
| 1.2.2. კვლევის პერიოდი.....   | 6  |
| 2. კვლევის ძირითადი მიგნებები .....   | 6  |
| 2.1. სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე ინფორმირებულობა.....                                      | 6  |
| 2.2. ძალადობის ფორმები .....  | 8  |
| 2.3 ახალგაზრდების სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები და გამოწვევები .....   | 12 |
| 2.4. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ახალგაზრდების ინფორმირებულობა და ინფორმაციის წყაროები..... | 13 |
| 2.5. ჩართულობა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების განხილვაში.....                                  | 14 |
| 2.6. მხარდაჭერის, კონსულტაციის მიღება.....  | 15 |
| 2.7. მითები, სტიგმები და ახალგაზრდების განვითარებისთვის საზიანო ტრადიციები საზოგადოებაში.....                       | 15 |
| 2.8. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით მომსახურებები პროექტები.....                                   | 16 |
| 2.9. ახალგაზრდების რეკომენდაციები და რჩევები.....   | 17 |
| 3. ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები.....  | 18 |

# შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და გენდერული ნიშნით ძალადობის კუთხით საჭიროებებისა და ბარიერების კვლევას ახალგაზრდებში - რა სირთულეებს აწყდებიან, რა გამოწვევების წინაშე დგანან.

კვლევა განხორციელდა ასოციაცია „ჭერა ოცდააერთის“ მიერ. ასოციაცია თავისი საქმიანობით ხელს უწყობს საქართველოში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების წინა პლანზე წამოწევას, ამ კუთხით, ორგანიზაციისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ახალგაზრდებთან მუშაობა, მათთვის ყოვლისმომცველი კომპეტენტური ინფორმაციის მიწოდება და ჯანსაღი, უსაფრთო გარემოს შექმნა.

კვლევა ჩატარდა საქართველოს სამ მუნიციპალიტეტში: აჭარა, სამეგრელოსა და იმერეთში. ფოკუს-ჯგუფების შედეგებმა ცხადყო, რომ ახალგაზრდებში ნაკლებია ინფორმაციის დონე სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით, აგრეთვე, აღნიშნულის მხრივ, სერვისების მიწოდების შესახებ.

## 1. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი იყო საქართველოს სამი მუნიციპალიტეტის, აჭარის, სამეგრელოსა და იმერეთის, მცხოვრები ახალგაზრდების გამოცდილებების, საჭიროებებისა და დამოკიდებულებების შესწავლა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, ასევე გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართულებით.

### 1.1. კვლევის ამოცანები

- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, გენდერული ნიშნით ძალადობის კუთხით აჭარაში, სამეგრელოსა და იმერეთში მცხოვრები ახალგაზრდების დამოკიდებულებების შესწავლა;
- ახალგაზრდების სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებების და ინფორმაციის წყაროების შესწავლა;
- ახალგაზრდების სექსუალური/გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საჭიროებების და ინფორმაციის წყაროების შესწავლა;
- ახალგაზრდებში ინფორმირებულობის ხარისხის დადგენა სექსუალური / გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სერვისების და ხელმისაწვდომობის მიმართულებით.

## 1.2. კვლევის მეთოდი

კვლევის მეთოდოლოგია შემუშავდა ასოციაცია „ჰერა XXI“-ის მიერ. სამიზნე ჯგუფის შესწავლის მიზნით, კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტი, ფოკუსური ჯგუფების სახით.

### 1.2.1. ფოკუსური ჯგუფური დისკუსიები

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ფოკუს ჯგუფი ჩატარდა საქართველოს სამი რეგიონში: აჭარაში, სამეგრელოსა და იმერეთში.

| დასახლებული პუნქტი | ჯგუფების რაოდენობა              |
|--------------------|---------------------------------|
|                    | ახალგაზრდები (ბიჭები, გოგონები) |
| აჭარა              | 4                               |
| სამეგრელო          | 4                               |
| იმერეთი            | 4                               |

- თითოეულ რეგიონში ჩატარდა 4 სადისკუსიო შეხვედრა;
- ფოკუს ჯგუფების სამიზნე აუდიტორია იყო ზემოთ ჩამოთვლილი სამი რეგიონის ახალგაზრდები, რომელთა ასაკიც მერყეობდა 18-დან 29 წლამდე;
- სადისკუსიო შეხვედრების შედეგად დაიფარა 32 ახალგაზრდა;
- ფოკუს ჯგუფი COVID 19-ის პანდემიიდან გამომდინარე ჩატარდა ონლაინ პლატფორმა Gotomeeting-ის გამოყენებით.
- სადისკუსიო შეხვედრები რიგ შემთხვევებში არ იყო ჰომოგენური სქესის ნიშნით, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაწილეობას იღებდნენ, როგორც კაცები, ასევე ქალები.

ცხრილი#1. ფოკუს ჯგუფების გადанаწილება რეგიონების მიხედვით.

## 1.2.2. კვლევის პერიოდი

კვლევა მიმდინარეობდა 3 თვის მანძილზე, 2020 წლის 28 სექტემბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით. კვლევის ანგარიში მომზადდა ნოემბერში.

## 2. კვლევის ძირითადი მიგნებები

### 2.1. სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე ინფორმირებულობა

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ სამი რეგიონის ახალგაზრდების ინფორმირება სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობის საკითხებთან, ასევე სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებთან დაკავშირებით არ არის მაღალი.

#### სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დეფინიცია

ტერმინი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, რესპონდენტები უკავშირებდნენ სასქესო ორგანოებს, სექსუალურ ჯანმრთელობას, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს.

- ამ ტერმინს ახალგაზრდები განმარტავენ, სრულყოფილადაც, არასრულყოფილადაც და ამავე დროს არის შემთხვევები, როდესაც არ აქვთ მათ ინფორმაცია.

*“ქალია თუ კაცია შინაგანი ორგანიზმის ჯანმრთელობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს”.* (სამეგრელო, 23 წლის)

*„ვენერეული დაავადებების შესახებ ინფორმირებულობას, ასევე როგორ ხდება სექსუალური ცხოვრება და ეს ყველაფერი”.* (აჭარა, 18 წლის)

#### სექსუალური ჯანმრთელობა და სექსუალური ცხოვრება

- ამ ტერმინის მიმართ რესპონდენტებს რიგ შემთხვევაში უარყოფითი ასოციაციები უჩნდებათ, ნეიტრალურიც და დადებითიც.

*„რაც უფრო მეტად ვიქნებით ინფორმირებული ამ საკითხებში, მით უფრო შევძლებთ საკუთარი თავის, საკუთარი ჯანმრთელობის, საკუთარი სექსუალური ჯანმრთელობის დაცვასაც და ასევე ჩვენი პარტნიორის“.* (სამეგრელო, 22 წლის)

### **რეპროდუქციული ჯანმრთელობა და რეპროდუქციული ქცევა**

- უმეტეს შემთხვევაში ახალგაზრდებს არ ჰქონდათ ინფორმაცია რეპროდუქციული ქცევის შესახებ. მათი ასოციაციები ტერმინის განმარტების მოსმენის შემდეგ ნეიტრალური და დადებითია.

*„ხო ანუ გიჟი უნდა იყო, რო ექიმმა რო გითხრას რო არა ამ ბავშვს ვერ გააჩენ რაღაცა ჯანმრთელობის პრობლემები შეგექმნებაო და ასე შემდეგ, ამ შემთხვევაში შენ რომ გააჩინო კი არიან ეგეთებიც, ისტორიას ახსოვს და ალბათ ჩვენს ირგვლივაც არიან ეგეთი ქალები“.* (სამეგრელო, 23 წლის)

*„ეგ კარგია იმიტომ, რომ პროფესია... პროფესის განვითარებასაც ხელს შეუწყობ და ოჯახიც გეყოლება, ანუ დაგეგმილად უფრო“.* (იმერეთი, 21 წლის)

### **სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებები - კანონი/კოდექსი**

- არასრულწლოვანთა სქესობრივი კავშირი დაუშვებელია;
- სქესობრივი ურთიერთობის დაწყება პიროვნული უფლებაა;
- აბორტის უფლება;

*„ადამიანს უფლება აქვს, ჰქონდეს პირადი სქესობრივი ურთიერთობა, ვისთანაც მოინდომებს და როგორც მოინდომებს, ანუ ეს მათი პიროვნული უფლებაა“.* (აჭარა, 18 წლის)

### **ახალგაზრდების აზრით, ეს უფლებები უნდა დაიცვას:**

- სამართალდამცავი უწყებები;
- სახალხო დამცველის აპარატი;
- დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.
- სოციალური სააგენტო;
- სახელმწიფო;

- საზოგადოება;
- მშობელი.

## 2.2. ძალადობის ფორმები

### ძალადობის ფორმები - გენდერული ნიშნით ძალადობა

ახალგაზრდები გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევების გახსენებისას, ძირითადად მსხვერპლად ქალებს ასახელებენ, უფრო მეტად ეს შემთხვევები სკოლაში ყოფილა. ასევე რესპონდენტთა უმრავლესობა გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებს ბულინგთან აიგივებს.

*„ყველაზე მეტად რასაც ვხვდები, ეს არის საჭესთან მჯდომი ქალი, ანუ თითქოს ქალისთვის არ შეიძლება, როგორ შეიძლება ქალი იჯდეს საჭესთან, ნუ ამაზე ძალიან ბევრისგან მესმის და ძალიან ბევრი არ რთავს თავის შვილებს, ასევე ცოლს ანუ რომ მართოს ავტომობილი“;* (აჭარა, 18 წლის)

*„აი გოგო, რომ დაუჩაგრავთ იმის გამო, რომ გოგოა, სკოლაში თუნდაც“;* (სამეგრელო, 18 წლის)

*„ზოგადად, გენდერული დისკრიმინაციის შემთხვევები როგორც ასეთი, საუბრისას, ქცევით გამოხატული შემინიშნავს. მაგალითად, ეს რა გოგოს საქმეა, ეს რა ბიჭის საქმეა“;* (სამეგრელო, 20 წლის)

*„ჩემს მიმართ ყოფილა მაგალითად, ანუ სკოლაში მათემატიკას გოგო ვერ ისწავლის კარგად, ბიჭი უფრო შეძლებს. არადა ჩემთან ბევრი იყო ისეთი გოგოები, ვინც მათემატიკას კარგად ვსწავლობდით და ბიჭები არ სწავლობდნენ, კიარადა ვერ სწავლობდნენ“.* (იმერეთი, 20 წლის)

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ძალიან ცოტას თუ სმენია **სახელმწიფო პროგრამების და მხარდამჭერი სერვისების შესახებ.**

*აჭარა:*

- ქალთა ოთახები;
- ქალების სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართულობა;
- 112-ის აპლიკაცია.

*სამეგრელო:*

- ქალთა თავშესაფარი;



- 112-ის გამოძახების სერვისი.

იმერეთი:

- 112-ის გამოძახების სერვისი.

ამასთან ერთად რესპონდენტები იხსენებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ეხმარებიან გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს.

### ძალადობის ფორმები - სექსუალური ნიშნით ძალადობა

ახალგაზრდები სექსუალური ნიშნით ძალადობის შემთხვევებთან განიხილავენ სექსუალური შევიწროვების შემთხვევებს, რომლებიც გადახდათ თავს მათ ან თანატოლებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში. ამასთან ერთად სექსუალური ნიშნით ძალადობას მხოლოდ ფიზიკური გამოვლინება არ აქვს და შეიძლება მოძალადემ მორალურადაც იძალადოს მსხვერპლზე.

*„ჩემი პირადი მეგობარი თავისი მეორე ნახევრის მხრიდან იყო სექსუალური ძალადობის მსხვერპლი... რამაც გამოიწვია ფეხმძიმობა“;* (აჭარა, 22 წლის)

*„მე და ჩემი მეგობარი, რომლებსაც არც ერთს არ ეცვა გამომწვევ მდგომარეობაში, მისვლირნობდით ბულვარში, ნუ ახა, ნუ ჩემს მასასთან ერთად, ნორმალურზე უფრო დიდი ბოდიში და საჯდომი მაქვს და, როცა გავიარე ერთმა კაცმა, ალბათ მას ეგონა, რომ თავისთვის ჩაილაპარაკა, სინამდვილეში მე გავიგონე, რო და რუსულად, ნუ „ვოტ ეტა ჟოპაო“, ჩემთვის გასაგებია ხო, ნუ ძალიან გავბრაზდი, უბრალოდ აღარ მივბრუნებულვარ და არ დამიწყია ჩხუბი როგორ მიბედავ, თორე როგორც ვიცი საკანონმდებლო ორგანოშიც დაწესდა ის, რომ ასეთი სახის ძალადობა უკვე იქნება რაღაც გარკვეული სახის სანქციებით“;* (აჭარა, 18 წლის)

*„ჩემ მეგობარს ჰქონდა მაგალითად ეგეთი შემთხვევა და მემგონი, ქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა და ძალიან მაგრად ჩაარტყა ფეხზე“;* (იმერეთი, 21 წლის)

*„ესეთი ფენომენი არის მარშუტკაში, ბავშვებს, ახალგაზრდებს, ანუ ერთი პედოფილი ტიპია გოგონებს ფეხზე ხელს ჩამოუსმევს, უადგილო ადგილას შეეხება და ესეთი რაღაცეები ნუ ბევრჯერ გამიგია და მსმენია ბევრი ადამიანისგან“.* (აჭარა, 28 წლის)

ამ შემთხვევაშიც, ძალიან ცოტას თუ სმენია **სახელმწიფო პროგრამების და მხარდამჭერი სერვისების შესახებ.**

აჭარა:

- სახელმწიფოს შეთავაზებული უფასო იურიდიული კონსულტაცია.
- ქალთა ოთახები;

სამეგრელო:

- 112-ის გამოძახების სერვისი;

იმერეთი:

- 112-ის გამოძახების სერვისი;

რესპონდენტები იხსენებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ეხმარებიან სექსუალური ნიშნით ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს.

### ძალადობის ფორმები - ოჯახური ძალადობა

ყველზე მეტად ფოკუს ჯგუფში მონაწილე ახალგაზრდები იხსენებენ მაინც ოჯახში ძალადობის შემთხვევებს, რომლებიც მომხდარა მათ გარშემო და ერთ-ერთი მათგანი ფატალურადაც კი დასრულდა და ბავშვის გარდაცვალება მოჰყვა.

*„მახსენდება ერთი შემთხვევა არ გაუკეთებია შვილს, რავი არ გააკეთა თუ ვერ გააკეთა არ მახსოვს, მაგრამ აი მოსულა და ძალიან უცემია“;* (სამეგრელო, 27 წლის)

*„რაც შეეხება ისტორიას, მოკლედ, ერთ-ერთ ლოკაციაზე, სადაც ძალიან ხშირად მიწევს ყოფნა მანდ იყო ოჯახში ძალადობის ფაქტი და ანუ სისტემატიური სახე ჰქონდა თურმე და ბოლოს იმ ქალმა თავი მოიკლა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ყველამ ამაზე საუბარი და ანუ ძაან ცუდად დამთავრდა რა ეგ ამბავი“;* (სამეგრელო, 23 წლის)

*„ჩემი კლასელი ძალიან ხშირად ძალადობდა მამამისი მასზე, დედამისზეც ასევე“;* (სამეგრელო, 18 წლის)

*„როგორც იცით აჭარაში ძალადმითიანები მომთაბარე ცხოვრებას ეწევა და გვყავს პირუტყვები. შესაბამისად, ქალი ოჯახში დატვირთულია, ანუ აკეთებს, ბოსელში შედის, ძროხებს წველის, არის ერთ ამბებში, ანუ მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევა, სერიოზულად ვიძახი და ამ დროს ქმარი ჰო სამუშაოზეა წასული და აპრავებს მის თემას რო მუშაობს და რო შეიძლება ჰყავდეს მეორე ოჯახი და საყვარლებსაც არ იკლებდეს და ამ დროს ქალი თუ რაიმეს წამოიწუწუნებს რომ თუნდაც რატო და რისთვის და თუ გაიგო და... თუ გაუმართლა და გაიგო ხომ კაი და რა რას იტყვის... შენი ბრალი იქნებოდა გექნებოდა გენაცვალე“;* (აჭარა, 28 წლის)

„ჩემი ერთ-ერთი ახლობელი და თქვენც გეცოდინებათ, ალბათ სატელევიზიო სივრციდან, ბავშვი, რო გარდაიცვალა მამის ძალადობით, ჩემს ახლოს ხდებოდა და აი მართლა ძალიან შემზარავი არის თითოეული ჩვენგანისთვის“; (იმერეთი, 26 წლის)

„ჩემი მეგობარი იყო, რომელსაც ჰყავდა შეყვარებული და ოჯახის წევრები უშლიდნენ ამ შეყვარებულთან ურთიერთობას და ხშირად ვხედავდით ხოლმე მეც და სხვა ჩემი მეგობრებიც, რომ ხან ხელი ჰქონდა დალურჯებული, ხან ნაკაწრები ჰქონდა ხოლმე, მაგრამ თვითონ ამ თემაზე საერთოდ არ საუბრობდა“; (იმერეთი, 22 წლის)

„სამეგობროში, თანატოლებში ყოფილა და ძან ცუდადაც უმოქმედიათ მათ ფსიქოლოგიაზე“. (სამეგრელო, 23 წლის)

ისევე როგორც ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში, ამ შემთხვევაშიც, ძალიან ცოტას თუ სმენია სახელმწიფო პროგრამების და მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

*აჭარა:*

- სახალხო დამცველის აპარატი;
- შემაკავებელი ორდერი.

*სამეგრელო:*

- ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარება ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის;
- 112-ის გამოძახების სერვისი.

*იმერეთი:*

- 112-ის გამოძახების სერვისი;

რესპონდენტები იხსენებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ეხმარებიან ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს.

**ქალების, არასრულწლოვანი გოგონების მიმართ ძალადობა**

გამოიკვეთა, რომ ქალების მიმართ სხვადასხვა სახის ძალადობა ხდება, მათ შორის სექსუალური ძალადობა, ოჯახური ძალადობა, გენდერული დისკრიმინაციის და გენდერული სტერეოტიპების მსხვერპლნი არიან ისინი. თუმცა ახალგაზრდების უმეტესობა მაინც აღნიშნავს, რომ ყველაზე მეტად ქალები და არასრულწლოვანი გოგონები გენდერული სტერეოტიპების ზეგავლენის ქვეშ არიან. ფოკუს ჯგუფში მონაწილე ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ სწორედ ეს არის გამომწვევი შემდეგში სხვადასხვა ფორმის ძალადობის გამომწვევი.

*„ძირითადაც მე მაინც ვფიქრობ რომ ყველაფერი სტერეოტიპების ბრალია. ყველა, თუნდაც ის ოჯახურ ძალადობაზე, როდესაც არის საუბარი, აქყოველთვის, ხშირად, ალბათ სოფლებში, სოფელში მცხოვრები მოსახლეობისთვის, კიდევ უფრო რთულად დგას ეს საკითხი“.*  
(იმერეთი, 28 წლის)

## 2.3 ახალგაზრდების სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები და გამოწვევები

### ახალგაზრდების შემთხვევაში სექსუალური უფლებების დაცვა

რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სექსუალური უფლებები ან ნაწილობრივ არის დაცული, ან მთლიანად ირღვევა. განსაკუთრებით გამოყოფენ ისეთ უფლებებს, როგორც არის:

- თანასწორობის უფლება;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება;
- განათლებისა და ინფორმირებულობის უფლება;
- ქორწინების, ოჯახის შექმნისა და დაგეგმვის, შვილების ყოლის არჩევანის უფლება;

*„ირღვევა, ანუ მართლა ოღონდ. წარმოდგინეთ სკოლებშიც კი. მოკლედ, ერთი პერიოდი მომიწია ერთ სკოლაში ყოფნა და სპორტის გაკვეთილზე ჩვეულებრივ ათამაშებდნენ მარტო ბიჭებს და გოგონები უყურებდნენ როგორ თამაშობდნენ და როდესაც გავაპროტესტე, მერე არავინ არ ამყვა“.* (სამეგრელო, 23 წლის)

*„მგონია, რომ ყველაფერი ნაწილობრივ არის დაცული მაგრამ, განსაკუთრებით, რომელიც მგონია, რომ საქართველოში არაა დაცული - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. იმიტომ, რომ ყველა ვისაც გაუხარდება, მეზობლის ბიძაშვილიდან დაწყებული თუ საერთოდ ერთხელ მაინც ჰყავხარ ნანახი ყველაფერში ერევა უკვე“.*  
(სამეგრელო, 28 წლის)

### ახალგაზრდების შემთხვევაში რეპროდუქციული უფლებების დაცვა

იგივე შეიძლება ითქვას რეპროდუქციულ უფლებებთან დაკავშირებითაც, რომ ეს უფლებები ნაწილობრივ არის დაცული, ან ყველა ირღვევა. გამოყოფენ ისეთ უფლებებს, როგორც არის:

- არცერთ ქალს არ უნდა აძალებდნენ ორსულობას ან ორსულობის შეწყვეტას;
- სექსუალობასთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერვისები უნდა იყოს კონფიდენციალური;
- უფლება აქვს თავად გადაწყვიტოს გათხოვდეს თუ არა;
- თავად გადაწყვიტოს ყავდეს თუ არა შვილები და როდის;

*„დღემდე აძალებენ ქალს, რომ აი შვილიშვილი უნდათ, აი მართლა, ასევე არის ხშირად ორსულობის შეწყვეტაც ვიღაცის ზეგავლენის გამო და გათხოვებაც, როცა მშობლებს აწყობთ, აუცილებლად უნდა გათხოვდეს გოგო“.* (სამეგრელო, 18 წლის)

*„დღემდე ვთქვით ძალიან ბევრს აქვს აი ჯანდაცვის სერვისების მიღების პრობლემა, იმიტომ, რომ ზოგი რეგიონში ცხოვრობს, ზოგი ქალაქში, ნუ ზოგი სოფელში და იქ კიდევ უფრო მწვავედ დგას ეს საკითხი, იმიტომ რო უნდა გამოიაროს რაღაც მანძილი, რო მაგალითად მივიდეს ექიმთან, და ა.შ“.* (იმერეთი, 21 წლის)

ორივე სახის უფლებებთან დაკავშირებით ფიქრობენ, რომ წინა წლებთან შედარებით ამ უფლებების დაცვის უფრო მეტი მცდელობა შეინიშნება, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია ამ მიმართულებით გასაკეთებელი.

### **გამოწვევები, რომლებსაც ახალგაზრდები ხვდებიან**

რესპონდენტები თვლიან, რომ ახალგაზრდები ყველაზე მეტად აწყდებიან საზოგადოების მხრიდან არასწორ დამოკიდებულებას, ასევე იმას, რომ მათთვის არ არის ინფორმაცია ხელმისაწვდომი. ამ გამოწვევების გადაჭრას ახალგაზრდები შეეცდებოდნენ იმ გზით, რომ მეტი ინფორმაცია მეწოდებინათ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის, რათა მათი ცნობიერება შეეცვალათ აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით.

### **2.4. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ახალგაზრდების ინფორმირებულობა და ინფორმაციის წყაროები**

კვლევის შედეგად ასევე ირკვევა, რომ ზოგიერთ საკითხზე, რომელზეც ქვეყნის სამ რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს ინფორმაცია აქვთ, მათი ცოდნები მხოლოდ ზედაპირული და არასრულია. ახალგაზრდებს ყველაზე მეტი ინფორმაცია

მენსტრუალურ ციკლზე აქვთ, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მათი ცოდნა მხოლოდ მენსტრუაციის ფაქტს ეხება და არ ფლობენ რაიმე დამატებით ინფორმაციას.

**სექსუალური ჯანმრთელობის საკითხებიდან** ახალგაზრდებს ძირითადად არ აქვთ ინფორმაცია:

- კონტრაცეფცია.

**რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებიდან** ახალგაზრდებს ძირითადად არ აქვთ ინფორმაცია:

- ორსულობა და ბავშვის მოვლა;
- ჰაპილომა ვირუსი;
- საშვილოსნოს ყელის ონკოლოგიური დაავადებები.

მწირია ინფორმაციის მიღების არხები - ახალგაზრდები სრულ საკითხების შესახებ ინფორმაციას იღებენ ძირითადად, ინტერნეტსივრციდან, მათთვის ყველასთვის ხელმისაწვდომია სოციალური ქსელები, ამასთან ერთად ინფორმაციას ღებულობენ, წიგნებიდან, ტრენინგებიდან, მეგობრებისგან და ოჯახის წევრებისგან. აღსანიშნავია, რომ ინფორმაცია არ მიუღიათ **სკოლის ექიმისგან**, რომელიც ზოგიერთი ახალგაზრდის სკოლაში არც კი ყოფილა.

**ფორუმები, რომლებსაც იყენებენ ახალგაზრდები სრულ საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად:**

- All about you;
- IPPF;
- WHO;
- დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდი;
- ასოციაცია ჰერა XXI - ის ვებ-გვერდები;
- სხვადასხვა Facebook ჯგუფები.

## 2.5. ჩართულობა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების განხილვაში

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე თითქმის ყველა ახალგაზრდა ჩართულია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების განხილვაში. განიხილავენ ამ თემებს საკუთარ მეგობრებთან და თავს კომფორტულად გრძნობენ. ამასთან ერთად

ყველა მათგანს აქვს სურვილი უფრო მეტად ჩაერთონ ამ საკითხების განხილვაში და მეტი ინფორმაცია მიაწოდონ თანატოლებს. სექსუალობასთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მეტად ჩართვისთვის, ახალგაზრდების უმრავლესობას, მეტი ინფორმაციის მიღება სჭირდებათ კომპენტენტური ადამიანებისგან, რომლებიც ასწავლიან მათ როგორ მიაწოდონ ეს ინფორმაცია ასაკის გათვალისწინებით ახალგაზრდებს.

*„გააჩნია მეგობარს, თუ ძალიან ახლობელია კი, თუ შორეულია, შეიძლება რაღაც უხერხულობის გრძნობა მექონდეს. მაგრამ ალბათ შორეულ მეგობართან არც ვისაუბრებ ამ თემებზე“.* (იმერეთი, 22 წლის)

*„ანუ მე ასეთ საკითხებთან მიმართებაში, არა აქვს მნიშვნელობა რა საზოგადოებაში მომიწევს საუბარი იმიტომ, რომ მე ამ თემას არ ვთვლი, რაღაც სასირცხვილო სალაპარაკო თემას, პირიქით ამაზე, რო ადამიანი საუბრობს ნიშნავს, რო ის არის მაღალგანვითარებული და ასე რომ მე მათთან ძალიან თავისუფალი ვარ“.* (აჭარა, 18 წლის)

## 2.6. მხარდაჭერის, კონსულტაციის მიღება

ახალგაზრდები მხარდაჭერას ძირითადად ღებულობენ:

- მეგობრები;
- ოჯახის წევრები.

არ მიუღიათ მხარდაჭერა:

- მასწავლებელი;
- სკოლის ექიმი;
- მანდატური;
- ეკლესია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუს ჯგუფში სარწმუნოებით მუსლიმი რესპონდენტებიც იღებდნენ მონაწილეობას, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მეჩეთში გარკვეუწილად ესაუბრებიან ამ საკითხებზე.

## 2.7. მითები, სტიგმები და ახალგაზრდების განვითარებისთვის საზიანო ტრადიციები საზოგადოებაში

### მითები და სტიგმები

- „ქალიშვილობის ინსტიტუტი“;
- კონკრეტული პროფესიების მხოლოდ მამაკაცებისთვის მიკუთვნება;
- „შიდსი მხოლოდ ნარკომანებს ემართებათ“;
- კონტრაცეფციულ აბებს თუ მიიღებ, შემდეგ ვეღარ დაფეხმძიმდები;
- თუ აბორტს გაიკეთებ შემდეგ ვეღარ დაფეხმძიმდები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მითების, სტიგმების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ.

### საზიანო ტრადიციები, რომლებიც ხელს უშლის ახალგაზრდებს იყვნენ თავისუფლები და გააკეთონ თავისუფალი არჩევანი

- ისეთი პროფესიის არჩევა, რომელიც მამაკაცის საქმიანობად ითვლება;
- ქალი დაქორწინებიდან მალევე უნდა დაფეხმძიმდეს;
- ქალი აუცილებლად ქმარზე უნდა იყოს დამოკიდებული;
- ქალი ქმარზე უნდა იყოს დამოკიდებული;
- გოგონას არ სჭირდება განათლების მიღება;
- ქალებისთვის ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობის აკრძალვა;
- გოგონა სახლში გვიან საღამოს არ უნდა ბრუნდებოდეს და სახლამდე სხვამ რომ მიაცილოს საზოგადოებისთვის მიუღებელია.

### 2.8. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით მომსახურებები პროექტები

კვლევის თანახმად, ახალგაზრდებს საკმაოდ მწირი ინფორმაცია აქვთ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით არსებულ მომსახურებებსა და პროექტებზე:

*აჭარა:*

- არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომა“-ს მიერ, უფასოდ კონტრაცეპტივების გაცემა;
- „წითელი ჯვრის“ ორგანიზაცია, რომელიც უფასოდ გასცემს კონტრაცეპტივებს;
- მაღალმთიან აჭარაში ექიმების ვიზიტი, იმისთვის, რათა მოსახლეობამ მომსახურება მიიღოს.

*სამეგრელო:*



- არასამთავრობო ორგანიზაცია „მერკური“-ს მიერ, უფასოდ კონტრაცეპტივების გაცემა;
- შიდსთან პრევენციის მიზნით დიაგნოსტიკა;
- უსაფრთხო აბორტის სერვისი;

*იმერეთი:*

- ქ. ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება ქუჩაში მომუშავე ქალებს;
- სტუდენტური დაზღვევა, რომელიც გულისხმობს შეღავათებს სამედიცინო მომსახურების მიღების დროს.

## 2.9. ახალგაზრდების რეკომენდაციები და რჩევები

- პროგრამებს, პროექტებს და სერვისებს იმ რეკომენდაციას მისცემდნენ ახალგაზრდები, რომ უფრო მეტად მიაწვდინონ ახალგაზრდებს ხმა, რომ აქვთ კონკრეტული სერვისები, რათა მეტი ბენეფიციარი და მონაწილე ჰყავდეთ.

*„ანუ არასამთავრობო ორგანიზაციებს არ აქვთ იმდენი შესაძლებლობა და არ აქვთ იმდენი რესურსი, რო ყველა რეგიონში ჩავიდნენ და ყველას მიწვდნენ, ამიტომ, ჩემი აზრით, ეს რო ფორმალურ დონეზე დაინერგოს იქნება ყველაზე კარგი“.* (იმერეთი, 21 წლის)

*„არაჯანსაღი ურთიერთობების შედეგად რა პრობლემებს შეიძლება გადააწყდნენ და ამის სტატისტიკური მონაცემებს თუ უფრო გააცნობენ, მაგალითად დაავადებებს ვგულისხმობ უფრო მეტად, რატო შეიძლება არ ეყოლოთ შვილი. ამაზე თუ გაამახვილებენ უფრო მეტად ყურადღებას, ჩემი აზრით, მასე უფრო დაინტერესდებიან ეს ახალგაზრდები“.* (აჭარა, 18 წლის)

- რაც შეეხება რჩევას ახალგაზრდებისთვის, მათ ურჩევენ მეტად გახსნილები იყვნენ, ნუ მოერიდებათ ღიად საუბარი ამ საკითხებზე და კითხვების დასმა. ამასთან ერთად, ფოკუს ჯგუფში მონაწილე რესპონდენტები მოუწოდებენ ახალგაზრდებს მეტი ინფორმაცია მიიღონ სრჯუ საკითხებზე და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედონ და გააკეთონ არჩევანი.

„მე პირადად იცი რას მივცემდი, აი ეხლა ესეთ ჯგუფებში, არ იღებენ მონაწილეობას, იმიტო რო რალაც კომპლექსები აქვთ რაში მჭირდება, ამაზე ვერ ვილაპარაკებ, იმ რჩევას მივცემდი, რო დაძლიონ ეს კომპლექსები”. (იმერეთი, 18 წლის)

„ანუ პროტესტი ჰქონდათ რეპროდუქციულ ჯანმრთელობას მასწავლებელი ნუ გამოუტოვებს ამ თემასთან მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია, ანუ ესაა მოითხოვონ თვითონ ეს მათი უფლება და ეს სასწავლო გეგმითაც უნდა ისწავლებოდეს”. (აჭარა, 18 წლის)

### 3. ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

#### დასკვნები

##### სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია

კვლევის თანახმად, ახალგაზრდებს ქვეყნის სამი რეგიონიდან (აჭარა, სამეგრელო, იმერეთი) ნაკლებად აქვთ ინფორმაცია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით, ისევე, როგორც სექსუალური და რეპროდუქციული უფლებებისა და სერვისების შესახებ:

- ინფორმაციის სიმწირის მთავარი მიზეზი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების ტაბუირებაა. საზოგადოებაში არ არის მიღებული ზოგადად სექსუალობაზე საუბარი.
- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს ახალგაზრდებისთვის მეგობრები წარმოადგენენ. მეგობრების გარდა, საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვებას ინტერნეტის საშუალებითაც განიხილავენ.

##### სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები

კვლევის თანახმად, თანახმად, ახალგაზრდები ქვეყნის სამი რეგიონიდან (აჭარა, სამეგრელო, იმერეთი) აღნიშნავენ, რომ მოზარდი გოგონებისა და ქალების სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები ხშირად ირღვევა, ძირითადად განაპირობებს:

- ქალის სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების რღვევას ხშირად საზოგადოებაში გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები განაპირობებს, როგორცაა: „ქალი აუცილებლად ქმარზე უნდა იყოს დამოკიდებული“; „გოგონას არ სჭირდება განათლების მიღება“; „ქალებისთვის ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობის აკრძალვა“.

## რეკომენდაციები

- კვლევის თანახმად, გამოვლინდა, რომ რესპონდენტებს სექსუალური განათლება არ აქვთ მიღებული, მათთვის ხშირ შემთხვევაში ინფორმაციის წყაროს მეგობრები წარმოადგენენ და ინტერნეტში განთავსებული ინფორმაცია, რომელიც შეიძლება არ იყოს სანდო. ამიტომაც მნიშვნელოვანია საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიების ჩატარება და აქტიური საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა, როგორც სექსუალურ და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებთან, ასევე უფლებების თვალსაზრისითაც;
- იქიდან გამომდინარე, რომ ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობის დროს ხშირად სახელდება ახალგაზრდების მხრიდან სირცხვილის გრძნობა, არაკომფორტულობის გრძნობა, კარგი იქნება, თუ შეიქმნება ისეთი სივრცე, სადაც მათი კონფიდენციალურობა დაცული იქნება, თუნდაც ეს იყოს სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფი, სადაც ახალგაზრდებს შეეძლება, ანონიმურად გამოთქვან თავიანთი აზრი;
- ახალგაზრდებს არ უსარგებლიათ და არ აქვთ ხშირ შემთხვევაში ინფორმაცია სერვისების და მომსახურებების შესახებ, რომლებიც არსებობს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით, ამიტომაც მნიშვნელოვანია რაღაც სივრცის შექმნა, სადაც თავის მოყრა შეიძლება ყველა ამ შეთავაზებული სერვისების, რათა ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ახალგაზრდებისთვის, საჭიროების შემთხვევაში.